# ხელშეკრულება

ქ.თბილისი 29 სექტემბერი 2014 წ.

სახელმწოფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინ-ცენტრი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, ერთის მხრივ ა(ა)იპ ეროვნული სკრინინ-ცენტრის დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს "ორიენტ ლოჯიკი" მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დანაყოფის დასახელება – აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები
1.2 კლასიფიკატორის კოდი - **(CPV 31400000)** (საკუთარი შემოსავლები)
1.3 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს "შემსყიდველს" აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები

## 2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება

1.1 სახელშეკრულებო თანხა ყველა გადასახადის გათვალისწინებით განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

## 3.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურეობა იქნება დროული და ხარისხიანი.
4.2. ამ გარანტიის მოქმედების ვადა გრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულების საგნის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 6.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 7.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მომწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდება.
7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 8.ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9.სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 10.გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 11.ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 12.ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.
12.2. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინებების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
12.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბერამდე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ ეროვნული სკრინინ-ცენტრი | შ.პ.ს. "ორიენტ ლოჯიკი" |
| ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №69 | ტელ: 254 18 18 |
| ტელ: 220 35 35 | საინდ. კოდი 202052054 |
| საინდ. კოდი 202442730 | სს ბაზის ბანკი |
| სს ბანკი პროკრედიტ ბანკი | GE96BS0000000005936872 |
| MIBG GE22 | |
| ა/ა GE19PC0113600100026495 | |
| შემსყიდველის სახელით | მიმწოდებლის სახელით |
| _____ | _____ |
| დირექტორი | დირექტორი |